

სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური
საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის
წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის
დისტანციური სხდომის

ოქმი № 2

7 ოქტომბერი, 2021 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

- | | |
|--------------------------------|----------------------|
| 1. მაია არჩუაძე (თავმჯდომარე); | 5. მირანდა მიქაძე; |
| 2. დემურ სიჭინავა; | 6. სალომე ჩიტიშვილი; |
| 3. ანა თოხაძე (მდივანი); | 7. ირაკლი ლეონიძე. |
| 4. დავით მახვილაძე; | |

დღის წესრიგი:

1. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში ამომრჩევლის სტატუსით მონაწილე აკადემიური პერსონალის და სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა სიების ერთიანი სიის სახით გატანა კენჭისყრაზე შესაბამისი ფაკულტეტების მიხედვით;
2. შესაბამისი ფაკულტეტების მიხედვით აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ამომრჩეველთა სიის დამტკიცება;
3. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებისთვის დარეგისტრირებულ კანდიდატთა განხილვა, დამტკიცება და სიის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება;
4. საარჩევნო ბაზის გამოყენების თაობაზე ამომრჩეველთათვის შესაბამისი ინსტრუქციის გაგზავნის საკითხი;
5. არჩევნებზე რეგისტრირებული კანდიდატების საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ საარჩევნო ბაზაში რეგისტრაცია;
6. საარჩევნო ბაზაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა და რეგისტრირებულ კანდიდატთა პერსონალური მონაცემის ცვლილების შეზღუდვის საკითხი;
7. აკადემიური საბჭოს წევრთა საბოლოო შედეგების ამსახველი რეპორტის ფორმის დამტკიცება.

გარდა პირველი საკითხისა, დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი დამტკიცებულ იქნა ერთხმად. პირველი საკითხი დამტკიცდა ხმათა უმრავლესობით, კომისიის 5 (ხუთი) წევრის მხარდაჭერით.

1. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში ამომრჩევლის სტატუსით მონაწილე აკადემიური პერსონალის და სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა სიების ერთიანი სიის სახით გატანა კენჭისყრაზე შესაბამისი ფაკულტეტების მიხედვით;

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ კომისიის წევრებს მიმართა წინადადებით, რომ აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში ამომრჩევლის სტატუსით მონაწილე აკადემიური პერსონალის სია და სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა სია გაერთიანებულიყო და კენჭისყრაზე სწორედ ერთი სიის სახით გასულიყო.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კონსულტანტი — ბ.-ნი დავით მახვილაძე დადებითად გამოეხმაურა კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ ინიციატივას ამომრჩევლთა ერთიანი სიების (აკადემიური პერსონალი და საბჭოს წევრი სტუდენტები) ფაკულტეტების მიხედვით დამტკიცების თაობაზე.

იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტმა — ქ.-ნმა ანა თოხაძემ და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის აპარატის სპეციალისტმა — ბ.-ნმა ირაკლი ლეონიძემ ასევე მიმართეს კომისიის წევრებს ინიციატივით, ამომრჩევლის სტატუსით მონაწილე აკადემიური პერსონალის სია ცალკე გასულიყო კენჭისყრაზე, რადგან აკადემიური საბჭოს მიმდინარე არჩევნებში შესაბამისი ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის მონაწილეობა იურიდიული ფაკულტეტისთვის არ გამხდარა სადავო ისევე, როგორც საკუთარი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საარჩევნო პროცესში მონაწილეობა. ქ.-ნი ანა კიდევ ერთხელ გამოეხმაურა მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილების არქონისა და ამ დრომდე მისი არალეგიტიმური საფუძვლებით ფუნქციონირების საკითხს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მან დაამატა, რომ კომისიის წევრების მიერ თავმჯდომარის ინიციატივის — კენჭისყრაზე გატანილ იქნას აკადემიური პერსონალის სია და სტუდენტური თვითმმართველობის სია ერთიანი სახით, თუმცა ცალ-ცალკე შესაბამისი ფაკულტეტების მიხედვით, ვერ იქნება მხარდაჭერილი, რადგან გაერთიანებულ სიაში მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების სახით დაფიქსირდებიან უფლებამოსილების არმქონე წევრებიც.

საკითხზე მოსაზრება გამოთქვა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანაშემწემ — ქ.-ნმა სალომე ჩიტიშვილმა, კერძოდ, თუ შექმნიდა პრობლემას ამომრჩევლთა სიების დამტკიცება ფაკულტეტების მიხედვით, თუმცა ცალკე აკადემიური პერსონალისა და ცალკე სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატებისა. მისი მოსაზრებით, ვინაიდან იურიდიულ ფაკულტეტს წარმოდგენილი აქვს საკუთარი აკადემიური პერსონალის სია, ამომრჩევლთა სიების ამგვარი ფორმით დამტკიცების შემთხვევაში, ერთგვარ უხერხულობას ექნებოდა ადგილი იმდენად, რამდენადაც იურიდიულ ფაკულტეტს საკუთარი ან სხვა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ნაწილში არ გამოუთქვამს პრეტენზია და ამ თვალსაზრისით, აღნიშნული არ გამხდარიყო რაიმე ხარვეზის გამომწვევი.

ქ.-ნი ანა თოხაძისა და ბ.-ნი ირაკლი ლეონიძის ინიციატივა შესაბამისი ფაკულტეტების მიხედვით აკადემიური პერსონალის სიის სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა სიისგან განცალკევებით დამტკიცებაზე არ იქნა მოწონებული არც ერთი წევრის მიერ.

კენჭისყრის შედეგები:

საკითხი მხარდაჭერილ იქნა კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით.

კერძოდ, თანახმაა კომისიის 5 (ხუთი) წევრი:

1. მაია არჩუაძე;
2. დემურ სიჭინავა;
3. დავით მახვილაძე;

4. მირანდა მიქაძე;
5. სალომე ჩიტიშვილი;

ხოლო უარი განაცხადა კომისიის 2 (ორი) წევრმა:

1. ანა თოხაძე;
2. ირაკლი ლეონიძე.

დაადგინეს:

შესაბამისი ფაკულტეტების მიხედვით აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში ამომრჩევლის სტატუსით მონაწილე აკადემიური პერსონალის და სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატთა სიების ერთანი სიის სახით გატანა კენჭისყრაზე.

2. შესაბამისი ფაკულტეტების მიხედვით აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ამომრჩეველთა სიის დამტკიცება.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ კომისიის წევრებს მიმართა წინადადებით აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ამომრჩეველთა სიის (დანართი № 1) დამტკიცების თაობაზე. ქ.-ნმა მაიამ კომისიის წევრებს გაუზიარა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ა/წ 5 ოქტომბრის წერილი, გამოგზავნილი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. საარჩევნო კომისიის 2021 წლის 5 ოქტომბრის სხდომის № 1 ოქმით მიღებული გადაწყვეტილებისა და საარჩევნო კომისიის ა/წ 6 ოქტომბრის წერილის (დანართი № 2) შესაბამისად, აღნიშნული წერილით გამოგზავნილ იქნა იურიდიული ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილ ამომრჩეველთა სიის შევსების მიზნით იურიდიული ფაკულტეტის საბჭოში შემავალი სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების სია, რომელთაც აქვთ სტუდენტის აქტიური სტატუსი.

საკითხზე მოსაზრება გამოთქვა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანაშემწემ — ქ.-ნმა სალომე ჩიტიშვილმა, კერძოდ, მან გააჟღერა საკუთარი ფაკულტეტის ოფიციალური პოზიცია, რომლის თანახმად ყველა სტუდენტს, მათ შორის, იურიდიული ფაკულტეტის მასშტაბით უნდა მიეცეს აკადემიური საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

საკითხს სიტყვით გამოეხმაურა იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი — ქ.-ნი ანა თოხაძე, რომელმაც კიდევ ერთხელ შეახსენა კომისიის წევრებს, რომ სტუდენტური თვითმმართველობის მე-7 მოწვევის დელეგატებმა თავად განაცხადეს იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე უფლებამოსილების ვადის ამოწურვის თაობაზე, რაც გახდა იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ საკითხის მოკვლევისა და შესწავლის საგანი. იურიდიული ფაკულტეტის გადაწყვეტილება მე-7 მოწვევის დელეგატთა უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო მათი გაწვევის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა არაუფლებამოსილი წევრების მონაწილეობით ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების არაკანონიერების თავიდან არიდების მიზნით, არ ყოფილა გასაჩივრებული და არ გამხდარა სადავო თავად გაწვეული მე-7 მოწვევის დელეგატთა მიერ. მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კომისიის წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების — იურიდიული ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილ ამომრჩეველთა სიის შევსების მიზნით სტუდენტური თვითმმართველობისაგან გამოთხოვა იურიდიული ფაკულტეტის

საბჭოში მე-7 მოწვევის დელეგატთა სიისა, წარმოადგენს იურიდიული ფაკულტეტის ავტონომიაში შექრას, აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ჩატარების წესის დარღვევას. შესაბამისად, ფაკულტეტი მხარს ვერ დაუჭერს არაუფლებამოსილი პირების საარჩევნო პროცესში მონაწილეობას, თუმცა მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ იურიდიული ფაკულტეტისათვის სადავო არ გამხდარა არც ერთი ფაკულტეტის, მათ შორის, არც საკუთარი აკადემიური პერსონალის მონაწილეობის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

საკითხი მხარდაჭერილ იქნა კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით.

კერძოდ, თანახმაა კომისიის 5 (ხუთი) წევრი:

1. მაია არჩუაძე;
2. დემურ სიჭინავა;
3. დავით მახვილაძე;
4. მირანდა მიქაძე;
5. სალომე ჩიტიშვილი;

ხოლო უარი განაცხადა კომისიის 2 (ორი) წევრმა:

1. ანა თოხაძე;
2. ირაკლი ლეონიძე.

დაადგინეს:

დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებში ამომრჩეველთა სიები შესაბამისი ფაკულტეტების მიხედვით (დანართი № 1).

3. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებისთვის დარეგისტრირებულ კანდიდატთა განხილვა, დამტკიცება და სიის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსება.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ სიტყვა გადასცა იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტს — ქ.-ნ ანა თოხაძეს, რომელმაც კომისიის წევრებს წარუდგინა და გაუზიარა არჩევნებში რეგისტრირებულ კანდიდატთა დოკუმენტაცია (დანართი № 3) ელექტრონული საქმისწარმოების (eDocument) პროგრამის მეშვეობით.

კომისიამ შეისწავლა კანდიდატთა დოკუმენტაცია და ხარვეზი დაადგინა მხოლოდ ერთ კანდიდატთან მიმართებით, კერძოდ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორის, ბ.-ნ ზურაბ აბაშიძის განცხადებაში, სადაც არ იყო მითითებული ფაკულტეტის სახელწოდება, თუმცა სხვა დოკუმენტაცია იქნა წარმოდგენილი. კომისიის გადაწყვეტილებით, კანდიდატს აღნიშნული ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გამოსწორების შესაძლებლობა მიეცა (იხ. დანართი № 4), რამაც კანდიდატის არჩევნებზე რეგისტრაცია შესაძლებელი გახადა.

საარჩევნო კომისიამ კენჭი უყარა რეგისტრირებულ კანდიდატთა წინამდებარე სიას:

1. მიხეილ ამაღლობელი — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი;
2. ომარ მუკბანიანი — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი;
3. ეთერ ხარაიშვილი — ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი;
4. მარინე ჩიტაშვილი — ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი;
5. მორის შალიკაშვილი — იურიდიული ფაკულტეტი;
6. ზურაბ აბაშიძე — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

კენჭისყრის შედეგი:

საკითხი იქნა განხილული და დამტკიცებული ყველა წევრის მიერ ერთხმად.

დამტკიცეს:

აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულთა წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით გამოცხადებული აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებისთვის დარეგისტრირებული კანდიდატების სია შემდეგი შემადგენლობით და მიიღეს გადაწყვეტილება, მისი ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების თაობაზე:

1. მიხეილ ამაღლობელი — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი;
2. ომარ მუკბანიანი — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი;
3. ეთერ ხარაიშვილი — ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი;
4. მარინე ჩიტაშვილი — ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი;
5. მორის შალიკაშვილი — იურიდიული ფაკულტეტი;
6. ზურაბ აბაშიძე — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

4. საარჩევნო ბაზის გამოყენების თაობაზე ამომრჩეველთათვის შესაბამისი ინსტრუქციის გაგზავნის საკითხი.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ კომისიის წევრებს გააცნო საარჩევნო ბაზა, ამომრჩევლის პირადი მონაცემის ჩასაწერი გრაფა, არჩევნებზე რეგისტრირებული კონკურსანტის არჩევის მეთოდი.

კომისიას უნდა ემსჯელა და ეყარა კენჭი შესაბამისი ფაკულტეტის ამომრჩეველებისათვის საარჩევნო ბაზის გამოყენების ინსტრუქციის გაგზავნისა და ინფორმაციის მიწოდების საკითხისათვის. ასევე გამოითქვა აზრი მასზედ, თუ რა გზით უნდა მოხდეს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მე-7 მოწვევის დელეგატთა ინფორმირება.

აღნიშნულს გამოეხმაურა ქ.-ნი ანა თოხაძე და განაცხადა, რადგან იურიდიული ფაკულტეტი არ ცნობს უფლებამოსილების არმქონე პირების მონაწილეობას საარჩევნო პროცესში, შესაბამისად, ინსტრუქციის გაგზავნას სტუდენტური თვითმმართველობის მე-7 მოწვევის წევრებისათვის იგი მხარს არ დაუჭერდა.

ბ.-ნმა დავითის მოსაზრებით შესაბამისი ინსტრუქცია ყველა წყაროს მეშვეობით მაქსიმალურად უნდა გავრცელებულიყო, მათ შორის, ცენტრალიზებულად, ყველა ამომრჩევლისათვის ინფორმაციის გაზიარების გზით. მისი მოსაზრებით, ამ შემთხვევაში კომისიას მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და უზრუნველყოს ინფორმაციის გავრცელება იმგვარად, რომ დაცული იყოს დაინტერესებულ პირთა ინფორმაციის მიღების გონივრული ინტერესი.

ასევე დამატებით გამოითქვა მოსაზრება, აკადემიური პერსონალის ინფორმირების თაობაზე შესაბამისი ფაკულტეტების მიერ.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

ცენტრალური ადმინისტრაციის მიერ იქნას განხორციელებული საარჩევნო ბაზის გამოყენების შესაბამისი ინსტრუქციის გაგზავნა აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ამომრჩევლებისათვის.

5. არჩევნებზე რეგისტრირებული კანდიდატების საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ საარჩევნო ბაზაში რეგისტრაცია.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ კომისიის წევრებს მიმართა ინიციატივით, თავად უზრუნველყოს აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებზე რეგისტრირებულ კანდიდატთა საარჩევნო ბაზაში რეგისტრაცია.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

უზრუნველყოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ არჩევნებზე რეგისტრირებული კანდიდატების რეგისტრაცია საარჩევნო ბაზაში.

6. საარჩევნო ბაზაში ამომრჩეველთა და რეგისტრირებულ კანდიდატთა პერსონალური მონაცემის ცვლილებების შეზღუდვის საკითხი.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ კომისიის წევრებს მიმართა ინიციატივით, მას შემდგომ, რაც ამომრჩეველთა და რეგისტრირებულ კანდიდატთა დაზუსტებული პერსონალური ინფორმაცია დარეგისტრირდება საარჩევნო ბაზაში, შეიზღუდოს ყველანაირი შემდგომი ჩარევა აღნიშნული მონაცემის ცვლილების, შესწორების თუ კორექტურის მიზნით.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

შეიზღუდოს ყველანაირი შემდგომი ჩარევა საარჩევნო ბაზაში ამომრჩეველთა და რეგისტრირებულ კანდიდატთა დაზუსტებული პერსონალური ინფორმაციის ცვლილების, შესწორების თუ კორექტურის მიზნით.

7. აკადემიური საბჭოს წევრთა საბოლოო შედეგების ამსახველი რეპორტის ფორმის დამტკიცება.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ქ.-ნმა მაია არჩუაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა რეპორტის საბოლოო ფორმა (დანართი № 5), რომელიც ასახავს არჩევნების საბოლოო შედეგებს და შედარებულ იქნა „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევის წესის“ მე-10¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების საბოლოო შედეგების ამსახველი რეპორტის ფორმა წარმოდგენილი სახით (დანართი № 5).

თავმჯდომარე, მაია არჩუაძე



მდივანი, ანა თოხაძე




წევრები:

1. დემურ სიჭინავა



2. დავით მახვილაძე



3. მირანდა მიქაძე



4. სალომე ჩიტიშვილი



5. ირაკლი ლეონიძე



დანართი № 1: ამომრჩევეთა სია;

დანართი № 2: საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წერილი მე-7 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის სახელზე;

დანართი № 3: აკადემიური საბჭოს არჩევნებზე რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია;

დანართი № 4: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორის, ბ.-ნ ზურაბ აბაშიძის განცხადება;

დანართი № 5: აკადემიური საბჭოს წევრთა აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების საბოლოო შედეგების ამსახველი რეპორტის ფორმა.